PDF-TOOLS Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-TOOLS Click to buy NOW! www.tracker-software.com

საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით შექმნილი საკონკურსო კომისიის სხდომის

ოქმი №2

ქ. სამტრედია 2 მარტი 2012 წელი

2012 წლის 2 მარტს 15 საათზე შეიკრიბა კომისია, რომლის მიზანს წარმოადგენდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ 2012 წლის 28 თებერვლის №338 საკონკურსო განცხადების საფუძველზე, პრეტენდენტის მიერ შემოტანილი საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

1. კობა კანდელაკი – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებელი – კომისიის თავმჯდომარე;
2. ავთანდილ თადუმაძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე – კომისიის წევრი;
3. ვაჟა გეგეშიძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
4. გივი ღაღანიძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და საბუღალტრო არღიცხვის სამსახურის უფროსი – კომისიის წევრი;
5. ბადრი კიკაჩეიშვილი – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი;
6. ზურაბ ზაქარიაძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი – კომისიის აპარატის წევრი;
7. ია ხოშტარია – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საერთო განყოფილების უფროსი – კომისიის აპარატის წევრი;
8. თამარ შუბლაძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის საერთო განყოფილების წამყვანი სპეციალისტი – კომისიის აპარატის წევრი;

სხდომას არ ესწრებოდა ირაკლი სულავა – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლებისა და შესყიდვების განყოფილების უფროსი – კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე, პრეტენდენტთა მიერ შემოტანილი კონვერტების გახსნა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემოწმება.

PDF-TOOLS Click to buy NOW! www.tracker-software.com
PDF-TOOLS Click to buy NOW! www.tracker-software.com

განხილვა:

დღის წესრიგთან დაკავშირებით მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ კობა კანდელაკმა და დამსწრეთ წარუდგინა დალუქული კონვერტი, რომელიც შემოწმებული იქნა კომისიის წევრების მიერ. კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა პრეტენდენტმა შ.პ.ს. „არქიტექტორმა".

კომისიის თითოეულმა წევრმა შეავსო ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომ არ იმყოფებიან ნათესაურ კავშირში კონკურსში მონაწილე ორგანიზაციის წარმომადგენელთან.

ამის შემდეგ მოხდა დალუქული კონვერტის გახსნა კომისიის თავმჯდომარის მიერ და მოხდა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემებისათვის საჭირო დოკუმენტების დასახელება, აგრეთვე დასახელდა პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასი.

კომისიამ სათითაოდ განიხილა ყველა საბუთი, აღნიშნა რომ საბუთები დამოწმებულია ბეჭდით, ხელმოწერილია და აღნიშნული საბუთები აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კომისიის სხდომაზე კანონმდებლობის შესაბამისად მოწვეული იქნა შ.პ.ს. „არქიტექტორი"-ს ხელმძღვანელი ანზორ კოპალეიშვილი ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობისათვის ფასის კლების თვალსაზრისით. კომისიის თავმჯდომარემ სამჯერ დაუსვა ანზორ კოპალეიშვილს შეკითხვა ფასის კლების მიზნით, რაზედაც ანზორ კოპალეიშვილმა უარი განაცხადა და მან საკონკურსო წინადადების საბოლოო ფასად დააფიქსირა 14395 (თოთხმეტიათას სამას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

1. საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით გამოცხადებულ კონკურსზე გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს. „არქიტექტორი", ღირებულებით 14 395 ლარი.
2. გამგეობის ზედამხედველობის, ადგილობრივი მოსაკრებლების, შესყიდვების, სამეურნეო-ტექნიკური უზრუნველყოფის, სტატისტიკის, ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა ვაჟა გეგეშიძემ უზრუნველყოს შესაბამისი ხელშეკრულების მომზადება.

კომისიის თავმჯდომარე: კობა კანდელაკი

კომისიის წევრები: ავთანდილ თადუმაძე

ვაჟა გეგეშიძე

გივი ღაღანიძე

ბადრი კიკაჩეიშვილი

სატენდერო კომისიის აპარატი: ზურაბ ზაქარიაძე

ია ხოშტარია

თამარ შუბლაძე